სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №8

ქ. თბილისი **2014 წლის 15 ნოემბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. აბესაძე ნინო 5. სოსიაშვილი თათია 6. გოდერძიშვილი ლია 7. ბერუაშვილი ანზორი 8. გოგინავა უშანგი 9. ხომერიკი რამაზი 10. თუთბერიძე ბეჟანი 11. მაჭავარიანი ლია 12. გეგეჭკორი არნოლდი 13. ხაჩიძე მანანა 14. ბექაური ბექა 15. ბახტურიძე პაატა 16. თუმანიშვილი გიორგი 17. ცისკაძე მარიამი 18. თოდუა ნონა 19. კუპრაძე ირაკლი 20. მარგველაშვილი ვლადიმერი 21. წერეთელი მარი 22. შამილიშვილი მანანა 23. ლორთქიფანიძე ლევანი 24. საბაური შალვა 25. ჟვანია ირინე 26. ჩახუნაშვილი ნინო 27. დადეშქელიანი ბექა 28. ლორია კახაბერი 29. გორდეზიანი ლევანი 30. გელოვანი ნანი 31. თაბუაშვილი აპოლონი 32. ბრაჭული ირაკლი 33. ოთხმეზური გიორგი 34. პაიჭაძე თამარი 35. ჯეგაშვილი ნანა 36. მინდიაშვილი თეონა 37. სამხარაძე ლაშა 38. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ახლად არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა სხდომის უხუცესი წევრი - პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა
3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მისასალმებელი სიტყვა
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის არჩევა
5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი კობახიძემ წარმომადგნლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო

ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. მისი განცხადებით, არჩევნებმა ჩაიარა მშვიდად, აკადემიურად, რაიმე მნიშვნელოვანი გართულების გარეშე. ყველა ფაკულტეტმა აირჩია წარმომადგენლები სენატში, როგორც აკადემიური პერსონალი, ისე - სტუდენტები. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არჩევნების შესახებ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია სხდომის თავმჯდომარეს გადასცა.

საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსმა, დიმიტრი გეგენავამ სხდომის მონაწილეებს გააცნო წარმომადგენლობითი საბჭოს არჩეული წევრების სია. მისი განმარტებით, წესდების თანახმად, აუცილებელია ახლად არჩეულმა წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადასტუროს წევრების უფლებამოსილებას. არჩევნების შედეგად სენატი სრულად დაკომპლექტდა. არჩეულ იქნა 41 წევრი - 27 პროფესორი და 14 სტუდენტი. წესდებით, სენატის 42-ე წევრი კი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელია.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:
მომხრე: 38
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ცნობილ იქნას წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგი წევრების უფლებამოსილება: შაბურიშვილი შოთა, თოდუა ნუგზარი, მექვაბიშვილი ელგუჯა, აბესაძე ნინო, სოსიაშვილი თათია, გოდერძიშვილი ლია, ბერუაშვილი ანზორი, გოგინავა უშანგი, ხომერიკი რამაზი, თუთბერიძე ბეჟანი, მაჭავარიანი ლია, გეგეჭკორი არნოლდი, ხაჩიძე მანანა, ბექაური ბექა, ბახტურიძე პაატა, თუმანიშვილი გიორგი, ცისკაძე მარიამი, თოდუა ნონა, კვირიკაშვილი ბახვა, კუპრაძე ირაკლი, იმნაძე პაატა, მარგველაშვილი ვლადიმერი, ოკრიბელაშვილი ნინო, გიორგაძე გიორგი, წერეთელი მარი, შამილიშვილი მანანა, ლორთქიფანიძე ლევანი, საბაური შალვა, ჟვანია ირინე, ჩახუნაშვილი ნინო, დადეშქელიანი ბექა, ლორია კახაბერი, გორდეზიანი ლევანი, გელოვანი ნანი, თაბუაშვილი აპოლონი, ბრაჭული ირაკლი, ოთხმეზური გიორგი, პაიჭაძე თამარი, ჯეგბაშვილი ნანა, მინდიაშვილი თეონა, სამხარაძე ლაშა, გაიპარაშვილი ზურაბი.

3. უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა. რექტორმა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს სენატში არჩევა მიულოცა და ნაყოფიერი საქმიანობა უსურვა. რექტორის განცხადებით, წარმომადგენლობითი საბჭო საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული, შესაბამისად, მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. ფაკულტეტებთან და შესაბამის დეპარტამენტებთან კონსულტაციის შედეგად წლის ბოლომდე შემუშავდება უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი, რომელიც საბოლოოდ სწორედ წარმომადგენლობითმა

საბჭომ უნდა დაამტკიცოს. ბატონმა ვლადიმერ პაპავამ იმედი გამოთქვა, რომ სენატი აქტიურად ჩაერთვება ბიუჯეტის შემუშავებისა და განხილვის პროცესში, რის შემდეგაც ბიუჯეტის ოპტიმალური ვერსია იქნება მიღებული.

საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

4. სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა არნოლდ გეგეჭკორმა წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის თანამდებობაზე წარადგინა წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსი, დიმიტრი გეგენავა. მისი განცხადებით, მდივანი წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმს აწარმოებს და ახორციელებს ტექნიკური ხასიათის სამუშაოს. დიმიტრი გეგენავა წინა საბჭოს მდივნის მოვალეობას ასრულებდა და წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ ვალდებულებას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:
მომხრე: 38
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნად არჩეულ იქნა დიმიტრი გეგენავა.

5. სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა არნოლდ გეგეჭკორმა სპიკერის არჩევასთან დაკავშირებით წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მიმართა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის წესდებით, სპიკერი უნდა აირჩეს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 4 წლის ვადით. კანდიდატის დასახელებისა და კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს წარმომადგენლობითი საბჭოს ნებისმიერ წევრს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა - ქალბატონმა თამარ პაიჭაძემ და ბატონმა ვლადიმერ მარგველაშვილმა სენატის სპიკერის თანამდებობაზე წარადგინეს ბატონი კახაბერ ლორია. მათი განცხადებით, ბატონი კახაბერ ლორია წარმატებით ასრულებდა წინა მოწვევის სენატის სპიკერის ფუნქციებს, გამორჩეულად აკადემიური პიროვნებაა და სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით აკადემიურ წრეებში. წამოყენებულ კანდიდატურას მხარი დაუჭირეს ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა და ბატონმა არნოლდ გეგეჭკორმა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა კახაბერ ლორიამ მადლობა გადაუხადა კოლეგებს მისი წარდგენისათვის და აღნიშნა, რომ სპიკერი, მართალია, პროცედურული თანამდებობაა, თუმცა, იმავდროულად, ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ლევან ლორთქიფანიძემ პროფესორებს მიმართა წინადადებით, მრავალფეროვნებისა და მეტი დემოკრატიულობისათვის სპიკერის თანამდებობაზე სხვა, ალტერნატიული კანდიდატურა ან კანდიდატურებიც წარედგინათ. ამ შემთხვევაში, წევრებს არჩევანის შესაძლებლობა მიეცემოდათ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ელგუჯა მექვაბიშვილმა სპიკერის თანამდებობაზე წამოაყენა ბატონი ლევან გორდეზიანის კანდიდატურა და განაცხადა, რომ ბატონი ლევან გორდეზიანი ცნობილი პროფესორია და უნივერსიტეტში მოღვაწეობის დიდი

სტაჟი აქვს, მას კარგად იცნობენ აკადემიურ წრეებში. ბატონმა ელგუჯა მექვაბიშვილმა დასძინა, რომ კარგი იქნება, თუ მომავლისთვის სენატი განიხილავს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობისა და სპიკერობის კანდიდატთა მიმართ დამატებითი მოთხოვნებისა და წინაპირობების დაწესების საკითხს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ლევან გორდეზიანმა მადლობა გადაუხადა ბატონ ელგუჯა მექვაბიშვილს და აღნიშნა, ის თუ ვინ იქნება სპიკერის თანამდებობაზე, პრინციპული საკითხი არაა, რადგან სპიკერი არის სხდომის წამყვანი და რეალურად, იგი არ თავმჯდომარეობს სენატს. უნივერსიტეტში ბევრი საქმეა, რომელსაც განხილვა და გადაწყვეტა სჭირდება, ამიტომაც ის ნებისმიერ შემთხვევაში აპირებს აქტიურ წევრობას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს 33-მა წევრმა, ხოლო 5-მა წევრმა - ირაკლი კუპრაძემ, ლევან ლორთქიფანიძემ, გიორგი ოთხმეზურმა, აპოლონ თაბუაშვილმა და ნანი გელოვანმა უარი განაცხადეს კენჭისყრაში მონაწილეობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

პროფესორი კახაბერ ლორია: 31 ხმა

პროფესორი ლევან გორდეზიანი: 2 ხმა

მიღებული გადაწყვეტილება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერად არჩეულ იქნა კახაბერ ლორია.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სხდომის თავმჯდომარე: არნოლდ გეგეჭკორი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა